



## საია გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს ეხმიანება

# საია გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს ეხმიანება

ყოველწლიურად 5 ივნისს გარემოს დაცვის მსოფლიო დღე აღინიშნება, რომლის მიზანაც გარემოსდაცვითი კუთხით ცნობიერების ამაღლება და გარემოსდაცვითი ქმედებების წახალისებაა.<sup>[1]</sup> მას საფუძველი 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენციაზე ჩაეყარა. ეს კონფერენცია იყო პირველი მასშტაბური ღონისძიება, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უშუალოდ გარემოს დაცვის საკითხებს მიუძღვნა.<sup>[2]</sup> სწორედ აქ აღიარა მსოფლიომ, რომ გარემოსდაცვითი პრობლემები, მათ შორის, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება, უშუალოდ უქმნის საფრთხეს ადამიანის სიცოცხლეს, მის ღირსეულ არსებობას, განვითარებას და მთელი რიგი სხვა ფუნდამენტური უფლებებით სათანადოდ სარგებლობას.<sup>[3]</sup> ამ კონფერენციაზე მიღებული დეკლარაციით გარემოს დაცვა და მისი შენარჩუნება ქვეყნებისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად განისაზღვრა და სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული კარგი გარემოსდაცვითი მმართველობის სისტემის შექმნა, მისი დანერგვა და მდგრადი განვითარება საერთაშორისო დღის წესრიგის განუყოფელ ნაწილად იქცა. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება დღესდღეობით უკვე მრავალი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად იქცა და ის 2021

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებადაც აღიარა.<sup>[4]</sup>

სტოკჰოლმის კონფერენციაზე განსაზღვრული მიზნების მიღწევა, გარემოს სათანადო დაცვა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც მსოფლიო ისეთი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გამოწვევების წინაშე დგას, როგორც არის კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების განადგურება, ადამიანის არსებობისთვის საჭირო გარემოს უკიდურესი დაბინძურება და სხვა. შესაბამისად, დღეს, ისე, როგორც არასდროს უმნიშვნელოვანესია თითოეული ქვეყნის როლი გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარების კუთხით და საჭიროა მათ მიერ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ ეფექტიანი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემუშავება და ამ სფეროში ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების იმპლემენტაცია საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას და ევროკავშირში განევრიანების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.<sup>[5]</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით საქართველომ მუშაობა დაიწყო და გარკვეული ტიპის ცვლილებები შევიდა გარემოსდაცვით კანონმდებლობაში, ქვეყანა კვლავ დგას არსებითი გამოწვევების წინაშე, რაც გასულ და მიმდინარე წლებშიც ნათლად გამოჩნდა.

საქართველოსთვის გარემოსდაცვითი კუთხით უმნიშვნელოვანესია ინსტიტუციური მონაცემების საკითხი, რათა სათანადოდ დაინერგოს კარგი გარემოსდაცვითი მმართველობა. თუმცა, დღესდღეობით ქვეყანა ამ მხრივ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში შესული ბოლოდროინდელი ცვლილება, რომლითაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი სრულად გადადის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შემადგენლობაში და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის ხდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და სტრატეგიულ დოკუმენტებზე დასკვნის გაცემის უფლებამოსილებების სრულად დელეგირება.<sup>[6]</sup> ეს ცვლილება სათანადოდ არ იყო დასაბუთებული კანონპროექტის განმარტებითი ბარათით, შესწავლილი და შინაარსობრივად გაანალიზებული არ იყო სხვა ქვეყნების მსგავსი კანონმდებლობა და პრაქტიკა, რაც შესაძლებელს გახდიდა იმის შეფასებას, თუ რამდენად ეფექტიანი იქნებოდა, საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მსგავსი ორგანოსთვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების დელეგირება;

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შეფასებული და გაანალიზებული არ იყო ის კორუფციული და ინტერესთა კონფლიქტის მომეტებული საფრთხეები, რომლებსაც მსგავსი უფლებამოსილების ისეთი სააგენტოსთვის დელეგირება წარმოქმნის, რომელსაც თავისი კომერციული ინტერესები გააჩნია. პრობლემური იყო ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ეფექტიანი და შინაარსობრივი მონაწილეობა. დაპირების მიუხედავად, კანონპროექტით გათვალისწინებულ ცალკეულ ცვლილებებთან დაკავშირებით არ გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რათა კანონპროექტი დეტალურად განხილულიყო, პასუხი გასცემოდა ყველა იმ კითხვასა და საფუძვლიან შიშს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ჰქონდათ ცვლილებებთან მიმართებით და აღმოფხვრილიყო ის არაერთი ხარვეზი, რომელიც კანონპროექტს გააჩნდა.

დღესდღეობით საქართველოში, ასევე, განსაკუთრებით ყურადსაღებია მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის, მსხვილი ენერგეტიკული პროექტების განხორციელების დროს ადამიანის უფლებათა გაუთვალისწინებლობა და მათი დარღვევის ფაქტები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ მიიღო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, რომელმაც განსაზღვრა ის აუცილებელი პროცედურები, რომლებიც დაცული უნდა იყოს მსგავსი პროექტების განხორციელების დროს, პრაქტიკაში პრობლემურია მათი ეფექტურად აღსრულება და ირღვევა მთელი რიგი წესები.

სწორედ ამ კუთხით, არსებითი დარღვევები გამოვლინდა **ქვეყნის კასკადის** პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებზე. კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების დარღვევებით წარიმართა გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღებისა და სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცესი.<sup>[7]</sup> კონკრეტულად კი, საჯარო განხილვების ორგანიზებისა და მიმდინარეობის პროცესში უხეშად დაირღვა **ქვეყნის კოდექსის**, **ქვეყნის** განხილვის წესის **ორპუნქტის** კონვენციით განსაზღვრული მოთხოვნები - ბევრ დაინტერესებულ პირს საშუალება არ მიეცა, დასწრებოდნენ მას ან მიეღოთ მასში არა მხოლოდ ფორმალური, არამედ ეფექტიანი და შინაარსობრივი მონაწილეობა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მნიშვნელოვანი კანონდარღვევებით გასცა დადებითი გარემოსდაცვითი გადანყვეტილება **ქვეყნის კასკადის** პროექტზე; კომპანია **შპს** **ქვეყნის** წარმოადგინა **ქვეყნის** შეფასების კოდექსით **განსაზღვრული მთელი რიგი** კვლევები, რომლებითაც უნდა შეფასებულიყო პროექტის გავლენა გარემოზე, ადამიანის სიცოცხლესა ან/და ჯანმრთელობაზე, კულტურულ მემკვიდრეობასა და მატერიალურ ფასეულობებზე.<sup>[8]</sup> მიუხედავად ამისა, სამინისტრომ მაინც გასცა დადებითი გარემოსდაცვითი გადანყვეტილება და კომპანიას ამ კვლევების პოსტ-ფაქტუმ წარმოდგენა დაავალა, რაც კანონის მოთხოვნების არსებით დარღვევას წარმოადგენს. ამასთან,

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



კომპანიამ არც შემდგომ შეასრულა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობები. აგრეთვე, საგულისხმოა, რომ არაერთგზის დაირღვა ამ პროექტის საწინააღმდეგოდ გამართული აქციების მონაწილე პირთა შეკრების, მანიფესტაციის, თავისუფალი გადაადგილებისა და ინფორმაციის გავრცელების უფლებებიც.<sup>[9]</sup>

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესმა მართლმსაჯულების კუთხითაც გამოავლინა პრობლემები. **ქვემოთ** და **ქვემოთ** ალტერნატივამ **ქ** ადგილობრივი ინტერესების დასაცავად ჯერ კიდევ 2020 წლის 06 აპრილს მიმართეს სარჩელით სასამართლოს და მოითხოვეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის იმ ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც ნამახვანის ჰესების ვასკადის პროექტზე დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცა. თუმცა, სასამართლოს დღემდე მოსამზადებელი სხდომაც არ ჩაუნიშნავს, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში არსებობს გარკვეული გამონწვევები მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებით ეფექტურად სარგებლობის კუთხით.

ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესი გამონწვევაა ისიც, რომ ქვეყანას დღემდე არ გააჩნია ენერგეტიკის განვითარების გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მსგავსი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. სწორედ ამ გეგმის შემუშავება წარმოადგენდა **ქ** ჰესების ვასკადის **ქ** პროექტის წინააღმდეგ მიმართული აქციების მონაწილეთა და ამ პროცესში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას იმ წინასამედიაციო პროცესის ფარგლებში, რომელიც სახელმწიფოსა და მათ შორის გაიმართა ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების ჩართულობით.<sup>[10]</sup> ამ პროცესის ფარგლებში, 2021 წლის ბოლოდან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაიწყო ამ გეგმის განხილვა დაინტერესებული პირების ჩართულობით. შესაბამისად, ამ ეტაპზე, აუცილებელია, რომ ეს პროცესი არ იყოს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ხასიათის და სახელმწიფომ რეალურად უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთა შინაარსობრივი და ეფექტური ჩართულობა, გაითვალისწინოს მათი მოსაზრებები და სათანადო, დასაბუთებული პასუხი გასცეს ყველა კითხვას.

ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ დღესდღეობით საქართველო გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გამონწვევების წინაშე დგას. ამ კუთხით სახელმწიფოს ქმედებები ხშირად არაკანონიერია და არღვევს პირთა მთელ რიგ ფუნდამენტურ უფლებებს. კარგი გარემოსდაცვითი მმართველობის ჩამოყალიბებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისთვის კი აუცილებელია, რომ სახელმწიფომ დაიცვას პირთა უფლებები, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციითა და ორჰუსის კონვენციით განსაზღვრული პროცედურული უფლებები, და საზოგადოებასთან, დაინტერესებულ პირებთან აქტიური თანამშრომლობითა და მათი შინაარსობრივი

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ჩართულობით მიიღოს მნიშვნელოვანი ინსტიტუციური თუ სხვა ტიპის ცვლილებები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება გარემოს დაცვასა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებით სათანადოდ სარგებლობას.

[1] [REDACTED] Environment Day [REDACTED] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t9xAbf>, ბოლო ნახვა: 31.05.2022.

[2] [REDACTED] Nations Conference on the Human Environment, 5-16 June 1972, Stockholm A[REDACTED] ერების ორგანიზაციის ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3M5pgzK>, ბოლო ნახვა: 31.05.2022.

[3] [REDACTED] of the United Nations Conference on the Human Environment A[REDACTED] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NH9pG>, ბოლო ნახვა: 31.05.2022.

[4] [REDACTED] to a healthy environment, declared a human right by UN rights council [REDACTED] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lWL5Ho>, ბოლო ნახვა: 31.05.2022.

[5] ასოციირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის [2014] OJ L 261/4 ( D[REDACTED] ასოციირების შეთანხმება [REDACTED] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xEqrTo>, ბოლო ნახვა: 31.05.2022.

[6] [REDACTED] ორგანიზაციები და დარგის ექსპერტები უარყოფითად აფასებენ D[REDACTED] შეფასების კოდექსში [REDACTED] შეტანილ ცვლილებებს [REDACTED] საიას ვებგვერდი, 28.03.2022, <https://bit.ly/3x2F40M>, ბოლო ნახვა: 31.05.2022.

[7] D[REDACTED] ნამახვანის ჰესის პროექტის საპროტესტო აქციის დაშლისა და [REDACTED] A მიერ სამშენებლო სამუშაოების განახლების შესახებ [REDACTED] საიას ვებგვერდი, 02.02.2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3o9ND6G>, ბოლო ნახვა: 31.05.2022.

[8] D[REDACTED] და მწვანე ალტერნატივა ნამახვანის ჰესების კასკადზე გარემოსდაცვითი გადანყვებილების მოქმედების შეჩერებას ითხოვენ [REDACTED] საიას ვებგვერდი, 05.03.2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3d7P5jQ>, ბოლო ნახვა: 31.05.2022.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



[9] **ქვემოთაშობი** ორგანიზაციები რიონის ხეობაში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურებიან **ქვემოთაშობი** საიას ვებგვერდი, 12.04.2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rqbhbm>, ბოლო ნახვა: 31.05.2022; **ქვემოთაშობი** დატოვოს პოლიციამ რიონის ხეობა და შეწყდეს ნამახვანი ჰესის სამშენებლო სამუშაოები **ქვემოთაშობი** საიას ვებგვერდი, 03.04.2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ldjTOC>, ბოლო ნახვა: 31.05.2022.

[10] **ქვემოთაშობი** ორგანიზაციები ნამახვანჰესთან დაკავშირებულ მოლაპარაკებების პროცესს ეხმაურებიან **ქვემოთაშობი** საიას ვებგვერდი, 30.07.2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3o5ZF0Z>, ბოლო ნახვა: 31.05.2022.